ჩემპიონატი

თბილისის დინამოელთა გამარჯვება
3:0

(მოსკოვი, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მეცხრე კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე ჩაატარა 25 ივნისს **მოსკოვში "მეტალურგის"** წინააღმდეგ. დინამოელთა პირველ მატჩს, რომელსაც მოსკოველები სპორტულად დიდი ინტერესით მოელოდნენ, უამრავი მაყურებელი დაესწრო.

მეტალურგელები საფეხბურთო მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით. თბილისის კი შეცვლილი შემადგენლობით – ტყებუჩავა, შავგულიძე, გაგუა, ჯორბენაძე, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და ხარბედია.

ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ტაიმის პირველ წუთებიდანვე დაიწყეს სწრაფი ტემპიანი თამაში და მოწინააღმდეგეთა კარის "ბომბარდირება", მაგრამ მეკარეთა ვირტუოზულმა თამაშმა არ მისცა მათ ბურთის გატანის შესაძლებლობა. კერძოდ, უნაკლოდ შეასრულა თავის მოვალეობა და რამდენიმე კრიტიკული მომენტისაგან იხსნა კარი ახალგაზრდა ნიჭიერმა მეკარემ – ტყებუჩავამ. მწვავე ბრძოლის შემდეგ პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ - 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის 35-ე წუთამდე მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. თითქოს მატჩი ყაიმით უნდა დამთავრდეს, მაგრამ შემდეგ წუთებში თავი იჩინა თბილისის დინამოელთა თავბრუდამხვევ ტემპიანმა თამაშმა, რომელმაც დააბნია მოწინააღმდეგეთა დაცვის ხაზი. პაიჭაძე, რომელსაც კვალდაკვალ დასდევდნენ მოწინააღმდეგენი, იშვიათი ოსტატობით ანაწილებდა ბურთს, რის შედეგად 10 წუთის განმავლობაში ბერეჟნოიმ, მ. ბერძენიშვილმა და ჯეჯელავამ სამჯერ გაარღვიეს "მეტალურგის" კარი.

მე-9 კალენდარული მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით – 3:0.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 26 ივნისი, 1939 წ.